



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 2722300001

თარიღი:27/10/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 54**

**„27“ ოქტომბერი 2022 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.**
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2022 წლის 20 ნოემბრამდე.**
4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2022 წლის 01 დეკემბრამდე.**

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზ მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

